ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

## დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 14

2021 წლის 30 ივლისი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე** - მანანა ბარბაქაძე,

**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:**

პაატა გოგოლაძე, გივი თხელიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, პავლე კიკალიშვილი, ჯამბულ, გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, , იუზა კელენჯერიძე ზურაბ ხაჩიძე, სხდომოს მუშაობაში დისტანციურ რეჟიმში მონაწილეობას იღებდა დავით კიკნაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, რუსუდან გიორგაძე, ვლადიმერ ტალახაძე,ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, ვახტანგ ტალახაძე სულ 19 წევრი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**მერიის წარმომადგენლები:**

**ვარლამ ჭიპაშვილი** მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

**ვლადიმერ გელაშვილი** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

**საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:**

**ლენა კალანდაძე**– საკრებულოს აპარატის უფროსი,

**საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:**

**ი.ბერაძე** - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

**ს. გლუნჩაძე**- ოპერატორი.

**მოისმინეს:** საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე **მომხს ვლადიმერ გელაშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

**დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)**

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**ნ მაღრაძემ,** რომელმაც შეკითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ ვერ მოხერხდა სოფელ ლეღვანში ცისკაძეების უბანში დარჩენილი 150 მეტრი დარჩენილი გზის მონაკვეთის დასრულება?

**ვ. ჭიპაშვილმა** განუმარტა, რომ პროექტი დაფინანსდა დაკონტრაქტებული, გარდამავალი პროექტები იმ მომენტისათვის დასახელებული გზის მონაკვეთის პროექტი არ არსებობდა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი საბიუჯეტო ცვლილებასთან დაკავშირებით

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 17 586,1 ათ ლარი გაიზარდოს 133,9 ათ. ლარით და განისაზღვროს 17 720.0 ათ. ლარით.**

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 21 469,7 ათ. ლარი გაიზარდოს 133,9 ლარით და განისაზღვროს 21.603.6 ათ. ლარით.**

გადასახდელები შესაბამისად გაიზარდა გადასახადებისა და მიზნობრივი ტრანსფერის გეგმების გაზრდის გამო.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 19 წევრი

მომხრე 19

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **მანანა ბარბაქაძე**